მამუკა გოგელია

თანამედროვე ტენდენციები ეკოტურიზმში

მამუკა გოგელია
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ეკოტურიზმი მდგრადი ტურიზმის ის სეგმენტია, რომელიც გულისხმობს შედარებით წყნარი ბუნებრივი ლანდშაფტების დათვალიერებას, მათ შორის დაცული ტერიტორიებისას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემები, მიახლოებითი გამოანგარიშებით საერთაშორისო ტურიზმის დაახლოებით 15-20% ეკოტურიზმს განეკუთვნება. ეკოტურიზმი არის ბუნებრივი და კულტურული რესურსების (მათ შორის ბიომრავალფეროვნების) კონსერვაციის მექანიზმი და ასევე, პერიფერიების მდგრადი განვითარების საშუალება [1].

დღეს ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ, მასობრივ ინდუსტრიას წარმოადგენს. თუმცა მასობრივი ტურიზმის პრაქტიკას ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ალტერნატიული ფორმა გამოუჩნდა, რომელსაც ეკოლოგიური ტურიზმი ეწოდა და რომელმაც ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ეფექტური დაცვის ხელშეწყობა დაისახა მიზნად [4].

ბევრ ქვეყანაში ტურიზმიდან მიღებული მოგების ნაწილს სწორედ ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება/აღდგენაზე მიმართავენ. სწორი მართვის შემთხვევაში რესურსების კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება სრულიად შეთავსებადია. მარკეტინგული პარტნიორობის შემთხვევაში მათ ერთმანეთისთვის სარგებლის მოტანაც კი შეუძლიათ. ტურისტული ორგანიზაციების ნაწილი საერთოდ არ ზრუნავს გარემოს დაცვაზე და მის მარკეტინგზე, მაგრამ არიან ისეთები, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოს დაცვის დადებით მხარეებს და გარკვეულ ღონისძიებებსაც ატარებენ. [5].

ეკოტურიზმის ძირითადი პრინციპებია: არ მოხდეს რესურსების დეგრადაცია და გარემოსთვის ზიანის მიუყენებლად განვითარდეს; გრძელვადიანი სარგებლობა მოუტანოს რესურსებს, ადგილობრივ მოსახლეობასა და მრეწველობას; თითოეულ მათგანს ჩამოუყალიბოს მორალური და ეთიკური პასუხისმგებლობა და ქცევის ნორმები ბუნებრივი და კულტურული გარემოს მიმართ; ინფრასტრუქტურის განვითარება; უცხოური ვალუტის გადაცვლით მიღებული შემოსავლების ზრდა.

ტურისტული ინდუსტრიისათვის ეკოტურიზმის განხილვა ტურიზმის ალტერნატიულ სახეობად შეიძლება ჩაითვალოს. რაც შეეხება ეკოლოგიურ და სოციო-კულტურულ, პასუხისმგებლობისა და მდგრადობის ელემენტებს, ესენი ეკოტურიზმის, როგორც პროდუქტის, მახასიათებლებს წარმოადგენენ [2].

გარემოს დაცვა ეკოტურიზმის განვითარების განუყოფელი ნაწილია. გარემოს დაცვას ეკონომიკური სარგებლის მოტანაც შეუძლია. ეკოტურიზმში ეს მაშინ ხდება, როდესაც ჯანსაღია გარემოც და ბიზნესიც. ზოგჯერ გარემოს დაცვას მოსახლეობის ინტერესები ეწირება. მაგალითად, მოსახლეობას შეიძლება აეკრძალოს სოფლის მეურნეობის სამუშაოების შესრულება, საწვავი და სამშენებლო მასალების შეგროვება. სანაპირო ზოლში ტურიზმის განვითარება განსხვავებულ სიტუაციას ქმნის. მოკლევადიანი მოგების მაქსიმიზაციას ეწირება გარემოს დაცვა, ინგრევა არსებული ეკოსისტემა. ტურიზმის რესურსების დეგრადაცია კი ორივე (გარემოს დაცვა და ეკოტურიზმი) ინტერესის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ტურიზმი გარემოზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენის გარეშე ვერ განვითარდება. მთავარი აქცენტი მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე რომ გაკეთდეს, ეკოლოგიაზე ზრუნვის გარეშე შეუძლებელია. ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის უზრუნველყოფაა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ხელოვნურადაც კი არის ჩამოცილებული ამ პროცესს [3].

ეკოტურიზმის ღირსშესანიშნაობები შესაძლოა დავყოთ სამ კატეგორიად: ძირითად, დამატებით და დამხმარე სანახაობებად. პირველი ორი კატეგორია შეესაბამება არეალის ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას [3].

ეკოტურიზმის ღირსშესანიშნაობანი არ მოიცავს ბიომრავალფეროვნების მთელ რესურსებს მოცემულ რეგიონში. ეს უფრო ბიომრავალფეროვნების სარესურსო ბაზის ყველაზე მიმზიდველი ელემენტების ბაზარზე გასატანად შერჩევაა

(ისევე როგორც ამ არეალის სხვა ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებისა). მაგრამ ეკოტურიზმის განვითარების საბოლოო მიზანი მაინც ბუნებრივი გარემოს დაცვაა [7].

ბიომრავალფეროვნების გადარჩენაზე ეკოტურიზმის დადებითი გავლენა უდავოდ მრავალმხრივია. ეს პირველ რიგში გამოიხატება სხვადასხვა სექტორში გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის საკითხებზე საგანამანათლებლო საქმიანობით. ამასთანავე, ეკოტურიზმი ბიომრავალფეროვნების რესურსებს ეკონომიკურ ღირებულებას მატებს, ისე რომ მისი ყველა მონაწილე უკიდურესად დაინტერესებულია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებით [6].

ტურისტები, რომლებიც ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს სტუმრობენ, ხშირად მზად უნდა იყვნენ კომფორტთან დაკავშირებული ჩვეული სტანდარტების დასავიწყებლად. გარკვეული თვალსაზრისით ეს ეკოტურიზმის მიმზიდველ მხარედაც შეიძლება ჩაითვალოს. ტურისტებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმ ადგილის სპეციფიკის შესახებ, რომელსაც სტუმრობენ და იმის შესახებაც, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რათა მაქსიმალურად შეამცირონ გარემოზე ზეგავლენა. ეს არის ტურიზმის ინდუსტრიის მთავარი პასუხისმგებლობა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკოტურიზმს ოთხი მთავარი ქვაკუთხედი გააჩნია: განვითარების მდგრადობა, ეკონომიკური სარგებლიანობა ადგილობრივი თემებისათვის, ადგილობრივი კულტურის ინტეგრაცია და საგანმანათლებლო კომპონენტი [6].

რაც შეეხება საქართველოში ტურიზმის განვითარების პერსპექტივას, საერთაშორისო ექსპერტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. სხვა უპირატესობებთან ერთად ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ქვეყნის გეოგრაფიულ სიახლოვეზე მსოფლიოს მთავარ ტურისტულ ბაზართან-ევროპასთან.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ევროპის ქვეყნებში ეკოტურიზმის პოპულარობამ აგროტურიზმის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი. აგროტურიზმი ტურიზმის ის სექტორია, რომელიც ორიენტირებულია ბუნებრივი, კულტურულ-ისტორიული და სხვა სასოფლო რესურსებისა და მათი სპეციფიკის გამოყენებაზე კომპლექსური ტურისტული პროდუქციის შესაქმნელად. აგროტურიზმის მთავარი პირობა ისაა, რომ ტურისტების განთავსების საშუალებები მდებარეობდეს სოფლის დასახლებაში [8].

ზოგიერთ ქვეყანის ტურისტულ ინდუსტრიაში აგროტურიზმის და ეკოტურიზმის ცნებები პრაქტიკულად იდენტურია. საქართველოს ეკო და აგროტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი რესურსები გააჩნია: სტუმართმოყვარეობის მდიდარი ტრადიციები, საინტერესო ტურისტული მარშრუტები, ადრეული და შუასაუკუნეების ისტორიული ძეგლები, ლამაზი ბუნება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა რეგიონს განუმეორებელი თავისებურებანი ახასიათებს, რეგიონების მოსახლეობა ვერ იყენებს არსებულ პოტენციალს ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო.

საქართველოში ეკოტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილებას რეგიონებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკოტურიზმის განვითარება, რამდენადაც მისი შესაბამისი სექტორი ბაზარზე ჯერ კიდევ არ არის სრულად ათვისებული. ეკოტურიზმის განვითარება არამარტო ქვეყნის ეკონომიკას წაადგება, არამედ ხელს შეუწყობს ბუნებრივი ადგილების მდგრად განვითარებას. თუ ამ გზას დროულად არ დავადგებით, ცოტა ხანში უკვე გვიან იქნება. ტურისტების ნაკვალევი თუ არ დაანგრევს, იმდენად მაინც დააზიანებს ეკოსისტემას, რომ მომავალთაობას შეიძლება აღარ მიეცეთ ბუნებრივი ადგილებით ტკბობის სიამოვნება, საქართველომ კი დაკარგოს შანსი ბუნებრივი პოტენციალის ქვეყნის ეკონომიკისათვის ძალზედ სარგებლიანად გამოყენებისა [5]

გარემოს დაცვის პრობლემებისადმი ყურადღების ამაღლება ბოლო 10 წლის განმავლობაში ბევრ ქვეყანაში წარმოადგენს ეკოლოგიურ ტურიზმზე მოთხოვნის ზრდის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს. თურისტები ჩქარობენ მოინახულონ კუთხეები ველური ბუნებით, რომლებიც შეიძლება აღარც კი არსებობდნენ დედამიწაზე რამდენიმე წლის შემდეგ. ბოლო დროს ბევრი მათგანი ცდილობს იყოს არამარტი დამკვირვებელი, არამედ საკუთარი წვლილი შეიტანონ მის შენარჩუნებაში. ისინი აღიარებენ კავშირს ტურიზმიდან შემოსავლებსა და ბუნების დაცვას შორის და მათთვის ძალზედ მიმზიდველია ფიქრი იმის შესახებ, რომ მათი ვიზიტი ხელს უწყობს უნიკალური ბუნებრივი ობიექტების დაცვას, ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებას და სწორედ მასპინძელ ქვეყნებს შეუძლიათ და უნდა ქმნიდნენ ამისთვის შესაფერის პირობებს [9].

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. მეტრეველი "ტურიზმი", 2003;
2. ვ. შუბლაძე "საქართველო და ტურიზმი", 2004;
3. ვ. შუბლაძე „ ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში" ჟურნალი „ფინანსები", 2004 კვლევითი დეპარტამენტი;
4. ნ. კუხიანიძე
5. http://www.parliament.ge/files/714_9879_231621_ekoturizmi.pdf;
6. Ecotourism A Sustainable Option? Erlet Cater, Univeristy of Reading, UK 1994;
7. Steele, P., 1993, The economics of eco-tourism, In Focus;
8. www. agrotourism.iatp.org.ge.
9. Е. Ю. Ледовских, Н. В. Моралева; Экологический туризм Информационное пособие Фонд развития экотуризма "ДЕРСУ УЗАЛА" Волгоград 2012 .

MODERN THENDS IN ECOTOURISM

MAMUKA GOGELIA - PhD student
Batumi, Shota Rustaveli State University

In the article is written reasons of developing ecological tourism, its scientific developing, which reckons ecological tourism, as using nature and protection of geographical sightseeing forms.

It is written ecological tourism possition with nature.

It is also written the planning function of ecological tourism, with concreate assume, which clears natural potential, using resorts of ecotourism and using them, owned for system to get maximum effect of economical ecotourism and fo protection of nature.

It is realized the main facts of ecotourism, its function and reasons. It is still continuing developing ecotourism in Georgia it was done of own level. It is still difficult to call modern ecotourism develope. We can see the successful realization some princeple of ecotourism. However such steps, which is cleared with ecotourism, are not much nowadays.

Our country owns the large territories with nature. Today we look at such developing of tourism tendences and it is clear that develope ecotourism will help us to keep our naturet's unique beauty, but it is important not to be too late.

СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ В ЭКОТУРИЗМЕ

МАМУКА ГОГЕЛИЯ – ВА докторант
Батумский государственный университет Шота Руставели

Во многих странах доходы от туризма является частью восстановления природной среды. Рациональное использование ресурсов и правильная организация сектора в развитии туризма является совместимой.

Экотуризм связана с "экологически чистых ресурсов". В последние несколько лет в в туризме встречаеться термины: экотур, Экологически безопасное путешествие и, конечно, экотуризм. Экотуризм может рассматриваться как разновидность альтернативного туризма в туристической отрасли. Защита окружающей среды является неотъемлемой частью развития экотуризма, которая может принести экономические выгоды.

Эко-развитие туризма в Грузии, на уровне творческого исполнения, и современный эко-туризм по-прежнему трудно назвать полностью разработанный. В большинстве случаев, мы можем увыдеть успешная реализация некоторых принципов.

Наша страна имеет огромные территории нетронутой природы. Сегодня мы смотрим на такого рода развития туризма и очевидно, что развитие экологического туризма может помочь сохранить уникальную красоту нашей природы, главное не опоздать.